

2022 წლის 27 ივლისი

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს 99-ე სხდომის

ოქმი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო, 1 სართული, ოთახი 103

თარგმანი ინგლისურიდან

დღის წესრიგი

16:00 – 16:05	სხდომის გახსნა/დღის წესრიგის დამტკიცება ბ-ნი ილია ღუდუშაური - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, ქსს-ს თავმჯდომარე
16:05– 16:10	მიმართვა საბჭოს წევრებისადმი ინტერესთა კონფლიქტის არსებობის დეკლარირების თხოვნით სამდივნო
16:10 – 16:20	ტუბერკულოზის მოლეკულური მეთოდებით დიაგნოსტიკის შეფასება - გამოცდილება,სამომავლო გეგმები ბ-ნი ანდრეი მოშნიაგა, რეგიონული მრჩეველი, პარტნიორობა შევაჩეროთ ტუბერკულოზი

16:20 – 16:35	<p>ტუბერკულოზის და აივ/შიდსის პროგრამების სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ათვისების მიმოხილვა (2022 წლის 1 იანვარი - 2022 წლის 30 ივნისი)</p> <p>ქ-ნი ირინე ჯავახაძე - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საბიუჯეტო დეპარტამენტის სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის ფორმირების სამმართველო</p>
16:35 – 16:45	<p>ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გადაწყვეტილება მაიმუნის ყვავილის შესახებ</p> <p>ქ-ნი ანა კასრაძე, დკსჯეც, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებზე მზადყოფნისა და რეაგირების სამმართველოს უფროსი</p>
16:45– 17:00	<p>გლობალური ფონდის გრანტების მიმდინარეობა</p> <p>ქ-ნი ირმა ხონელიძე - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, გლობალური ფონდის პროექტის დირექტორი</p>
17:00– 17:25	<ul style="list-style-type: none"> • ანგარიში საზედამხედველო აქტივობების შესახებ • თემის მიერ წამოწეული საკითხები <p>ქ-ნი მზია ტაბატაძე - ქსს-ს თავმჯდომარის მოადგილე, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე</p>
17:25 – 17:40	<p>ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის მარეგულირებელი დოკუმენტების განახლება</p> <ul style="list-style-type: none"> • ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის გამოწვევები - ბ-ნი ლაშა აბესაძე, ახალი ვექტორი, GENPud

	<ul style="list-style-type: none"> ინფორმაცია ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის მარეგულირებელ დოკუმენტებში შესატანი ცვლილებების თაობაზე - ქ-ნი ხათუნა თოდაძე, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, გენერალური დირექტორის მოადგილე <p><i>მსჯელობა</i></p>
17:40– 17:50	<p>მსჯელობა/დისკუსია ქსს-ს წარმომადგენლობების გაფართოების თაობაზე</p> <p>ქ-ნი მზია ტაბატაძე - ქსს-ს თავმჯდომარის მოადგილე, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე</p>
17:50– 18:00	მიმდინარე საკითხები/განცხადებები
18:00	სხდომის დახურვა

მონაწილეები

#	ქსს-ს წევრები/ალტერნატიები	
1	ილია ლუდუშაური	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, ქსს-ს თავმჯდომარე
2	მზია ტაბატაძე	ქსს-ს თავმჯდომარის მოადგილე საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

		არასამთავრობო ორგანიზაცია ალტერნატივა ჯორჯია
3	ამირან გამყრელიძე	დკსჯეც, გენერალური დირექტორი გლობალური ფონდის გრანტების ძირითადი მიმღები ორგანიზაცია
4	ირმა ხონელიძე	დკსჯეც, დირექტორის მოადგილე გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, დირექტორი პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის წევრი
5	ზაზა ავალიანი	ტუმბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორი ტბ გრანტის ქვე- კონტრაქტორი ორგანიზაცია
6	აკაკი აბუთიძე	ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკული ცენტრის გენერალური დირექტორის, ბ- ნ თენგიზ ცერცვაძის სახელით
7	ხათუნა თოდაძე	ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, გენერალური დირექტორის მოადგილე, პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის (პასკ) წევრი

8	თორნიკე ხონელიძე	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, ქ-ნ ლია გიგაურის ალტერნატიული წევრი
9	ირინე ჯავახაძე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საბიუჯეტო დეპარტამენტის სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის ფორმირების სამმართველო
10	ნინო მამულაშვილი	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის, ბ-ნ სილვიუ დომენტეს ალტერნატიული წევრი საზედამხედველო კომიტეტის წევრი, პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის წევრი
11	ნატალია ზაქარეიშვილი	გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის, ქ-ნი ლელა ბაქრაძის ალტერნატიული წევრი პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის (პასკ) წევრი
12	ზურაბ ვადაჭკორია	სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი
13	ელგუჯა მელაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
14	ლაშა აბესაძე	არასამთავრობო ორგანიზაცია ახალი ვექტორი, GeNPUD, გამგეობის თავმჯდომარის, ბ-ნ კონსტანტინე ლაბარტყავას ალტერნატიული წევრი

15	იზოლეტა ბოდოკია	არასამთავრობო ორგანიზაცია შიდასივრცით დაავადებულთა დახმარების ფონდის დირექტორი
16	ბექა გაბადაძე	ალტერნატიული წევრი, MSM/TG თემა აივ-გრანტის ქვეკონტრაქტორი ორგანიზაცია
17	ლაშა თვალთაძე	სათემო ორგანიზაცია რეალური ხალხი-რეალური ხედვა, აივ თემა საზედამხედველო კომიტეტის წევრი პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის (პასკ) წევრი
18	ზაზა ქარჩხაძე	არასამთავრობო ორგანიზაცია ახალი გზა
19	ნიკოლოზ მირზაშვილი	ყოფილი ტბ პაციენტი საზედამხედველო კომიტეტის წევრი
20	გიორგი მაღრაძე	ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და განათლების ფონდი პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის წევრი
	მოწვეული პირები/დამკვირვებლები/მომხსენებლები	

21	თამარ გაბუნია	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარე
22	ანდრეი მოშნიაგა	რეგიონული მრჩეველი, პარტნიორობა შევაჩეროთ ტუბერკულოზი
23	მაკა დანელია	დკსჯეც გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერი
24	ანა კასრაძე	დკსჯეც, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებზე მზადყოფნისა და რეაგირების სამმართველოს უფროსი
25	თამარ ზურაშვილი	პოლიტიკისა და ადვოკატირების სპეციალისტი
26	გვანცა დარჯანია	არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება
#	სამდივნო	
27	ირინა გრძელიძე	აღმასრულებელი მდივანი
28	ნათია ხონელიძე	ადმინისტრაციული ასისტენტი

აბრევიატურების სია

AIDS - Acquired Immune Deficiency Syndrome, შიდა, შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი

ARV - Ant-retroviral, არვ, ანტი-რეტროვირუსული

CBO - Community Based Organization, სათემო ორგანიზაცია

CCM - Country Coordinating Mechanism, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო

COI - Conflict of Interest, ინტერესთა კონფლიქტი

CSO - Civil Society Organization, სამოქალაქო ორგანიზაცია

EECA - Eastern Europe and Central Asia, აღმოსავლეთ ევროპა და ცენტრალური აზია

FR – Funding Request, დაფინანსების განაცხადი

GFATM - Global Fund to Fight Aids, Tuberculosis and Malaria, შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი

GHRN - Georgia Harm Reduction Network, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

GoG - Government of Georgia, საქართველოს მთავრობა

HIV - Human Immunodeficiency Virus, აივი, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

IDU – Injecting Drug User, ნიბ, ნარკოტიკის ინექციური მომხმარებელი

KAP – Key Affected Population, ძირითადი დაზარალებული ჯგუფი

CSWs – Commercial sex-workers, კომერციული სექს მუშაკი ქალები

MoIDPsLHSA - Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labor, Health and Social Affairs, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MoF – Ministry of Finance, ფინანსთა სამინისტრო

MSM – Men who have sex with men, მსმ, მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან

NCDCPH – National Center for Disease Control and Public Health, დკსჯეფ, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

NCTLD – National Center for Tuberculosis and Lung Diseases, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი

NIH – National Institutes of Health, ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი

NTP – National Tuberculosis Program, ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამა

OC – Oversight Committee, საზედამხედველო კომიტეტი

OST - Opioid Substitution Therapy, ოჩთ, ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპია

PAAC - Policy and Advocacy Advisory Committee, პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი

PIU - Project Implementation Unit, პროექტის განმახორციელებელი ერთეული

PWUD – People who use drugs, ნარკოტიკის მომხმარებლები

PR – Principal Recipient, ძირითადი მიმღები

RBF - Result Based Funding, შედეგზე დაფუძნებული დაფინანსება

RMD - Rapid molecular diagnostics, სწრაფი მოლეკულური მეთოდით დიაგნოსტიკა

RPRV – Real People Real Vision, რეალური ხალხი - რეალური ხედვა

SR – Sub-recipient, ქვე-კონტრაქტორი

TA – Technical Assistance, ტექნიკური დახმარება

TB – Tuberculosis, ტბ, ტუბერკულოზი

TG – Transgender, ტრანსგედნერი

TRP – Technical Review Panel, ტექნიკური განხილვის ჯგუფი

UNFPA - United Nations Population Fund, გაეროს მოსახლეობის ფონდი

USAID - United States Agency for International Development, აშშ-ს ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო

WHO – World Health Organization, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

ილია ლუდუშაური - მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, ხაზი გაუსვა ქსს-ს ფუნქციონირების მნიშვნელობას. თავმჯდომარემ მიმართა აუდიტორიას, წამოეყენებინათ დღის წესრიგში დამატებით შესატანი საკითხები (არსებობის შემთხვევაში), ასევე არსებობის შემთხვევაში განეცხადებინათ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

99-ე სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდა. ინტერესთა კონფლიქტი დღის წესრიგის საკითხებთან მიმართებაში არ იქნა განცხადებული სხდომაზე დამსწრე არცერთი წევრის მიერ. შევსებული ფორმები ინახება ქსს-ს ოფისში.

თამარ გაბუნია – მიესალმა მონაწილეებს, წარადგინა ბ-ნი მომზიაგა.

ანდრეი მომზიაგა - გადასცა დამსწრე საზოგადოებას საუკეთესო სურვილები პარტნიორობა „შევაჩეროთ ტუბერკულოზი“-ს სამდივნოს მხრიდან. პარტნიორობამ აღმოუჩინა ქვეყანას ტექნიკური დახმარება გლობალურ ფონდში წარსადგენი განაცხადის შემუშავების პროცესში და მზად არის მხარდაჭერისთვის ახალი გრანტის განხორციელების პროცესში.

ძირითადი აქცენტი:

- დკსჯეც და ტფდეც-ის მოწვევით, ბ-ნი მომზიაგა მონაწილეობდა ეროვნული სტრატეგიის და გლობალური ფონდის ახალი გრანტის პრიორიტეტულ მიმართულებებთან მიმართებაში, ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისადმი მიძღვნილ სემინარში;
- პარტნიორობამ „შევაჩეროთ ტუბერკულოზი“ გამოაქვეყნა ტუბერკულოზის შეჩერების ახალი გეგმა (2023-2030 წწ). ქვეყნები მოწოდებული არიან ასახონ გეგმის პოლიტიკა და ძირითადი პრიორიტეტები ეროვნულ გეგმებში. დოკუმენტში ხაზგასმულია სადიაგნოსტიკო ქსელებში/ ტუბერკულოზის მოლეკულური მეთოდებით დიაგნოსტიკაში ინვესტირების მნიშვნელობა შემთხვევათა გამოვლენის და დიაგნოსტიკის გაუმჯობესების მიზნით;

- საქართველოს ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამას აქვს კარგი შედეგები ტუბერკულოზის დასრულების მიზნის მიღწევასთან მიმართებაში, მათ შორის აღსანიშნავია მაღალი ხარისხი და წვდომა თანამედროვე სადიაგნოსტიკო საშუალებებზე. მაღალი შეფასება მიეცა დკსჯეც-ს, ტფდეც-ს და სხვა პარტნიორებს.
- მიუხედავად ტუბერკულოზის ტვირთის შემცირებისა, ქვეყნისთვის პრიორიტეტული რჩება შემთხვევათა გამოვლენა და დიაგნოსტიკა. COVID პანდემიის ნეგატიური ზეგავლენის გათვალისწინებით, ასევე ახალი სამკურნალო რეჟიმებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ტუბერკულოზის ეროვნულმა პროგრამის მხრიდან სადიაგნოსტიკო სერვისებთან, განსაკუთრებით სწრაფი მოლეკულური მეთოდებით სადიაგნოსტიკო სერვისებთან (რომელიც ფუნციონალურია საქართველოში) წვდომის და განხორციელების მონიტორინგი.
- სემინარის დროს განხილულ იქნა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის (EECA) რეგიონის სხვა ქვეყნების გამოცდილება ტუბერკულოზის სწრაფი მოლეკულური მეთოდებით დიაგნოსტიკის შეფასების თვალსაზრისით. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა დკსჯეც და ტფდეც-სთან ამ ინსტრუმენტის გამოყენების თაობაზე (დასრულება მოსალოდნელია წლის ბოლოსთვის ან მომავალი წლის დასაწყისს);
- გასათვალისწინებელია სხვა მნიშვნელოვანი ინტერვენციები, განსაკუთრებით ტუბერკულოზის პრევენციის კუთხით;
- ყველა ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება, მიმართულია ქვეყანაში ტუბერკულოზის დასრულებისკენ, ამრიგად მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სამინისტროს და სხვა სახელმწიფო უწყებების მხარდაჭერა.

ილია ლუდუშაური - მაღლობა მოახსენა ბ-ნ მომხიარვას და სიტყვა გადასცა ქ-ნ ირინე ჯავახაძეს.

ირინე ჯავახაძე – წარადგინა ინფორმაცია ტუბერკულოზის და აივ/შიდსის პროგრამების სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ათვისების თაობაზე (2022 წლის 1 იანვარი - 2022 წლის 30 ივნისი), (პრეზენტაცია თანდართულია).

ძირითადი აქცენტო:

- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსების 10-წლიანი დინამიკა (სახეზეა დაფინანსების ზრდის ტენდენცია). 2022 წელს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ბიუჯეტი (მლნ ლარი) - 1 791.2. თანხები გადანაწილებულია 4 პროგრამას შორის (მათ შორის ტუბერკულოზის და აივ-ის ვერტიკალური პროგრამები): მოსახლეობის საყოველთაო

ჯანმრთელობის დაცვა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა, მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში და დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება. სახელმწიფო ბიუჯეტი და შესრულების ანგარიში ასახავს ვერტიკალურ პროგრამებსაც, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე.

- 2022 წელს პროგრამების განმახორციელებლები: ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო და დკსჯეც. საბიუჯეტო პარამეტრები - 2022 17.2 მლნ ლარი ტბ პროგრამისთვის და 14.1 მლნ ლარი აივ/შიდსის პროგრამისთვის.
- თანხების 6 თვის პერიოდში ათვისების დინამიკა (2021 და 2022 წლები). ტბ პროგრამისთვის ათვისების მაჩვენებელი წარმოადგენს - 208.5%, აივ პროგრამისთვის 162.3 % . დაზუსტებული გეგმები არ ასახავს მიზნობრივი გრანტების ფარგლებში მიღებულ თანხებს, თუმცა ასახულია ფაქტობრივ ხარჯებში, ამრიგად ათვისების მაჩვენებელი აღემატება 100%-ს შესრულების ანგარიშში გეგმისგან განსხვავებით.
- 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის ინდიკატორები. პროგრამის ბიუჯეტის ფორმატი ითვალისწინებს შედეგზე ორიენტირებულ დაგეგმვას. თითოეული პროგრამის ინდიკატორი არ უნდა აღემატებოდეს ხუთს. ინდიკატორების შესრულება ფასდება ფისკალური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვის განმავლობაში. თუ სახეზეა საბაზისო და მიზნობრივ მაჩვენებლებს შორის ცდომილება, მხარჯავი დაწესებულება ვალდებულია წარადგინოს ცდომილების მიზეზები. დაგეგმვის პროცესში ასევე გათვალისწინებულია რისკის მაჩვენებელი.

პრეზენტაციის მსვლელობისას აუდიტორიამ განიხილა გლობალური ფონდის და სახელმწიფო დაფინანსების წილი და ათვისების მაჩვენებელი. ქსს-ს თავმჯდომარემ შესთავაზა მომხსენებელს საბჭოსთვის განკუთვნილ შემდეგ პრეზენტაციაში, ცალკე სლაიდი დაეთმოს მიზნობრივი გრანტების ფარგლებში მიღებულ დაფინანსებას, მეტი თვალსაჩინოების მიზნით.

ილია ლუდუშაური - მაღლობა მოახსენა ქ-ნ ირინე ჯავახაძეს და სიტყვა გადასცა ქ-ნ ანა კასრაძეს.

ანა კასრაძე – წარადგინა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გადაწყვეტილება მაიმუნის ყვავილის შესახებ, ძირითადი ფაქტები და მიმდინარე მდგომარეობა.

ძირითადი აქცენტი:

2022 წლის 23 ივლისს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა, ტედროს ადანომ გებრეისუსმა გამოაცხადა საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განსაკუთრებული მდგომარეობა (PHEIC), მაიმუნის ყვავილის აფეთქებასთან დაკავშირებით. სპეციალურ საგანგებო კომიტეტში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დაკავშირებით ხმები 6-9 გადანაწილდა.

- მსოფლიოში დაავადების გადანაწილება გეოგრაფიული მდებარეობის, გენდერის და ასაკის მიხედვით;
- რისკ ჯგუფები: ამჟამად ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან - მსმ, განსაკუთრებით პირები, რომლებსაც ჰყავთ მრავლობით სქესობრივი პარტნიორები;
- გადაცემის გზა - ვრცელდება ადამიანიდან ადამიანზე, გამონაყარის მქონე პირთან ახლო კონტაქტისას;
- დამახასიათებელი სიმპტომებში შედის: მაღალი ტემპერატურა, თავის ტკივილი, კუნთების ტკივილი, ზურგის ტკივილი, დაბალი ენერჯია, ლიმფური ჯირკვლების შეშუპება, გამონაყარი.
- ვაქცინაცია - ვაქცინა ახლახან დამტკიცდა. ამ ეტაპზე, საყოველთაო ვაქცინაცია არ არის რეკომენდებული ჯანმოს მიერ.
- ჯანმოს კლასიფიკაციით, საქართველო მიეკუთვნება პირველი რიგის ქვეყნებს;
- რეკომენდაციები: ეპიდ. ზედამხედველობის გაძლიერება და სადიაგნოსტიკო საშუალებები, სამედიცინო პერსონალის გადამზადება და ინფორმაციის მიწოდება, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია რისკ-კომუნიკაცია და რისკ ჯგუფებში ცოდნის დონის ამაღლება სტიგმის ფაქტორის გათვალისწინებით.

დისკუსიის დროს პროფ. ამირან გამყრელიძემ ხაზი გაუსვა რისკ ჯგუფების და თემის მხარდაჭერის, მათთან კომუნიკაციის და ცნობიერების ზრდის მნიშვნელობას. ბ-ნმა ბექა გაბადაძემ გამოხატა მადლიერების გრძნობა მხარდაჭერასა და თანამშრომლობისთვის და ხაზი გაუსვა არამასტიგმატიზირებელი კომუნიკაციის მნიშვნელობას.

ილია ლუდუშაური - მადლობა მოახსენა მომხსენებელს და სიტყვა გადასცა ქ-ნ ირმა ხონელიძეს.

ირმა ხონელიძე - წარადგინა აუდიტორიის წინაშე: მიმდინარე გრანტების განხორციელების მიმდინარეობა (1), ინფორმაცია გლობალურ ფონდში წარდგენილი განაცხადის სტატუსის თაობაზე (2), ინფორმაცია გლობალური ფონდის დაფინანსების ახალი სტრატეგიული ციკლის შესახებ (3).

ძირითადი აქცენტი:

- მიმდინარე სამივე გრანტი დასრულდება 2022 წლის 31 დეკემბერს. ქსს-ს პერიოდულად ეგზავნება ინფორმაცია ტენდერებსა და სერვისების შესყიდვის თაობაზე. მასალის და სერვისების მოწოდება სრულდება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის.

ტუბერკულოზის პროგრამა:

- გრანტის ჯამური ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 6 მლნ აშშ დოლარს. პანდემიიდან გამომდინარე რიგი აქტივობების განხორციელება გადავადდა 2022 წლისთვის. რესურსების ოპტიმალური და ეფექტური გამოყენების მიზნით მიმდინარეობს შესყიდვის ინტენსიური პროცესი;
- გლობალური ფონდის განახლებული ინსტრუმენტი და მეთოდოლოგია ითვალისწინებს ფინანსური რესურსების ათვისების მაჩვენებელს. აქედან გამომდინარე, აქტივობების გადავადების გამო, შეფასების მაჩვენებელი ნაკლებია წინა წელთან შედარებით;
- ტუბერკულოზის გამოვლენის კუთხით მიმდინარეობს და დაგეგმილია მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა ტუბერკულოზის აქტიური სკრინინგი ქვემო ქართლში (დაგეგმილია გაფართოება სხვა რეგიონებში), დაგეგმილია ტბ სკრინინგი ნიმ-ებს შორის;

აივ პროგრამა:

- მომდევნო აივ/ტბ კონსოლიდირებული გრანტის განხორციელების ფაზების სიქნონიზაციის მიზნით, მიმდინარე აივ გრანტი გაგრძელდა 6 თვით. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში წარმოიშვა სირთულეები 1 მლ შპრიცების შესყიდვასთან დაკავშირებით. წყვეტის აცილების მიზნით, მიმდინარეობს გადაუდებელი შესყიდვის შესაძლებლობების განხილვა. გაიმართება კონსულტაციები ჯანდაცვის სამინისტროსთან.

COVID-19 გრანტი

- მნიშვნელოვანი სადიაგნოსტიკო საშუალებების მოწოდება დასრულდება 2022 წლის ბოლოსთვის. სასურსათო პაკეტების დისტრიბუციის დასრულება მოსალოდნელია შემოდგომის მე-4 კვარტალში.

2023-2025 იმპლემენტაციის პერიოდის გლობალური ფონდის გრანტი

- 18 თებერვალს განაცხადი გაიგზავნა გლობალურ ფონდში. განაცხადმა გაიარა ტექნიკური ჯგუფის განხილვა, გრანტის მზადების პროცესი და 21 ივლისს წარედგინა გრანტების დამტკიცების კომიტეტს (GAC). დადებითი

დასკვნის შემთხვევაში, საგრანტო განაცხადი წარედგინება გლობალური ფონდის საბჭოს აგვისტოს შუა რიცხვებში. შემდეგი ნაბიჯები მოიცავს საგრანტო დოკუმენტების ხელმოწერას და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებას.

დაფინანსების ახალი პერსპექტივა

- გლობალური ფონდის დაფინანსების საკითხისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართება სექტემბერში, ნიუ-იორკში. გლობალური ფონდი ნოემბერში მიიღებს გადაწყვეტილებას მომდევნო სტრატეგიულ ციკლში ქვეყნების დაფინანსების ოდენობის შესახებ.

ამირან გამყრელიძე – მიაწოდა დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია 2022 წლის ივნისში ყაზბეგში ჩატარებული კონფერენციის თაობაზე. კონფერენცია მიემდვნა ტუბერკულოზის საკითხებს. პროფესორმა ამირან გამყრელიძემ ისაუბრა ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტების მიერ საქართველოსთვის აღმოჩენილი დახმარების შესახებ და გამოთქვა განსაკუთრებული მადლიერების გრძნობა ჰენრი ბლუმბერგის, კარლოს დელ რიოს, ჯეკ დეჰოვიცის მიმართ. კონფერენციაზე განხილულ იქნა ნულოვანი ტუბერკულოზის ინიციატივის დაჩქარების და საქართველოში ტუბერკულოზის ელიმინაციის საკითხები. საკითხი მოითხოვს სამინისტროს დონეზე მაღალი დონის განხილვებს, ელიმინაციის გეგმის შედგენას, საქართველოში ტუბერკულოზის ელიმინაციისთვის პროცესის წამოწყებისთვის საჭირო რესურსებზე მსჯელობას. აღნიშნული ამბიციური მიზნის გათვალისწინებით ტუბერკულოზის პროგრამის დაფინანსება არ უნდა შემცირდეს.

ილია ლუღუშაური - მადლობა მოახსენა მომხსენებელს და სიტყვა გადასცა **ქ-ნ მზია ტაბატაძეს**.

მზია ტაბატაძე – მიაწოდა დამსწრეებს ინფორმაცია საზედამხედველო აქტივობების შესახებ, მადლობა გადაუხადა სამდივნოს ჩართულობისკენ მიმართული ურყევი ძალისხმევისთვის და წარადგინა სამოქალაქო სექტორის მიერ წამოწეული საკითხები.

ძირითადი ფოკუსი:

საზედამხედველო აქტივობები:

2022 წლის 13 ივლისს გაიმართა საზედამხედველო კომიტეტის მორიგი შეხვედრა. განხილულ იქნა I კვარტლის დეშბორდები. არ დაფიქსირებულა მწვავე პრობლემა ან გამოწვევა. მაღალი რისკის პოპულაციების მოცვა და პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვა გაუმჯობესდა.

სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან წამოწეული საკითხები:

სახარჯი მასალების წყვეტა (1) ზიანის შემცირების პროგრამებისთვის. *საკითხი განხილულ იქნა ქ-ნ ხონელიძის გამოსვლისას, წარდგენილ იქნა გადაჭრის პოტენციური გზა.*

ბ-ნმა ზაზა ქარჩხაძემ წამოწია საწვავის ლიმიტის საკითხი (2). *ირმა ხონელიძის პასუხი:* რეგულარულად მიმდინარეობდა კომუნიკაცია განმახორციელებლებთან. ფასის მნიშვნელოვანმა ზრდამ გამოიწვია ამგვარი შედეგი. საჭიროა დაგეგმვის გაუმჯობესება და მეტად მიზნობრივი ინტერვენციების განხორციელება. მიმდინარეობს კომუნიკაცია არსებული თანხების უტილიზაციის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით. **არგ მკურნალობის, ლაბორატორიული კომპონენტის მდგრადობა მიგრანტებისთვის (რეალური ხალხი - რეალური ხედვა) (3).** *აკაკი აბუთიძის პასუხი:* ყველა აივ-ინფიცირებულს უკრაინიდან უტარდებათ უფასო არგ მკურნალობა და ლაბორატორიული კვლევები. სხვა ქვეყნებიდან მიგრანტებთან მიმართებაში მოქმედებს ინდივიდუალური შემთხვევის მიდგომა. წარდგენილ და განხილულ იქნა ინფორმაცია ქვეყანაში მიგრანტების მკურნალობის (მათ შორის, ოჩთ) რეგულაციებთან დაკავშირებით. ჯანმო-ს მომართვის საფუძველზე, ჯანდაცვის სამინისტრომ დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან კოორდინაციაში გააკეთა პროგნოზი და გათვლები არგ და ანტი-ტუბერკულოზური მედიკამენტების საჭიროებებთან დაკავშირებით უცხო ქვეყნების მოქალაქეების ნაკადთან მიმართებაში. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად, ყველა უკრაინელ მოქალაქეს მიეწოდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეებისთვის განკუთვნილი ყველა სამედიცინო სერვისი.

გლობალური ფონდის პროგრამაში დასაქმებულთა ხელფასის მომატება (ზიანის შემცირების ქსელი) (4). *ირმა ხონელიძის პასუხი:* აღნიშნული საკითხი ასევე არაერთხელ განხილულ იქნა განმახორციელებლებთან. დეტალურად წარდგენილ იქნა დაფინანსების მექანიზმი. აღინიშნა, რომ შედეგზე დაფუძნებული დაფინანსების მექანიზმი რესურსების შიდა გადანაწილების შესაძლებლობას იძლევა და სახელფასო ბადე არის ორგანიზაციის მენეჯმენტის დისკრეციის საკითხი. საჭიროების შემთხვევაში, განმახორციელებლებს ჩაუტარდებათ დამატებითი ტრენინგი დკსჯეც-ს მხრიდან.

ელექტრონულ პორტალზე წვდომის დაშვება კონფირმაციული ტესტების რეპორტირების მიზნით („ჭეპა+), (5). ჩატარდა შეხვედრები ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან, სამინისტროში გაიგზავნა ოფიციალური წერილი. პასუხი დღემდე არ არის მიღებული. **ქ-ნმა თამარ გაბუნია** გამოთქვა საკითხზე რეაგირებაში ჩართულობის მზადყოფნა.

ოჩტ პროგრამის მარეგულირებელი დოკუმენტები (6) - განხილვბ სხდომბზე ცალკე საკითხბდ.

მსჯელობბ/დისკუსიბ ქსს-ს წარმომადგენლობების გბფართობების თბობბზე (7). ტრბნსგენდერი თემისგბნ შემოსულიბ მოთხოვნბ მბთი წარმომადგენლობის ქსს-ს შემადგენლობბში დბმბტების თბობბზე. გბრდბ ამისბ შემოსულიბ მოთხოვნბ კსმ (CSW) კბლების დბ ყოფილი პბტიმრების წარმომადგენლობის ქსს-ში დბმბტების შესბხებ. ქ-ნმბ მზიბმ წბრუდგინბ აუდიტორიბს ქსს-ს არსებული შემადგენლობბ დბ გბდბნბწილებბ სექტორებსბ დბ წარმომადგენლობების მიხედვით. ჯბმური რიცხვი - 29, სექტორი 1: სბმთბვრობო - 11 (38%), სექტორი 2 - სბმოქბლბქო სბზოგბდობბ: 14 (48%); სექტორი 3 - დონორები: 4 (14%). წევრების რიცხვი, მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით - 30. ვაკბნტური ადგილი ეკუთვნის სბმთბვრობო სექტორს.

მზიბ ტბბბტბმემ მიმბრთბ აუდიტორიბს აღნიშნული მოთხოვნების განხილვის დბ გბდბწყვეტილების მიღების თხოვნით.

ბექბ გბბბდბმემ მიმბრთბ წევრებს ტრბნსგენდერი თემის სპეციფიური სბჭიროებების გბთვბლისწინების დბ თემის ქსს-ს შემადგენლობბში დბშვების თხოვნით. ტრბნსგენდერი თემი ბსბხულიბ ბხბლ ეროვნულ სტრბტეგიბში, როგორც სბკვბნძო რისკ ჯგუფი დბ ბსევე არის ბხბლი გბნბცბბდის ბრბერთი ინტერვენციის სბმიზნე. ბმქბმბდ, თემის წარმომადგენელი გბწევრიბნებულიბ ქსს-ში მსმ-თემის ნიშის ქვემ, თუმცბ წარმომადგენლობის წევრობბ არ არის გბრბნტირებული მარეგულირებელი დოკუმენტებით.

წბრბმბრთბ დისკუსიბ. სხდომის მონბწილებმბ იმსჯელებს სბბჭოს სტრუქტურის, წევრობის, შემადგენლობის, ზომის ლიმიტიბციის თბობბზე. დბბსვბ კითხვბ ტრბნსგენდერი თემის ზომის კვლევის თბობბზე. გბნბმბრტბ, რომ კვლევბ მიმდინბრეობს დბ დბსრულდებბ სექტემბრისთვის; ბბლიბნ ნედლი მონბცემებით დბბბლოებით 200 ბენეფიციბრი სბრგებლობს სერვისებით. წევრებმბ ბსევე იმსჯელებს სბერთბშორისო კონსულტბნტების მიერ მოწოდებულ ტექნიკურ დბბმბრებბზე დბ სხვბ ქვეყნების გბმოცდილების გბთვბლისწინებით, რეკომენდბციებზე ზომის ლიმიტიბციის თბობბზე. ბლინიშნბ დიდი ზომის სბბჭოს ფუნქციონირების ნეგბტიური გბმოცდილება ბდრეულ პერიოდში. ბხბლი თემების დბმბტების სბპირისპიროდ, მიზბნშეწონილბდ ჩბბთვბლბ დელებირების დბ წარმომადგენლობითი ფუნქციების ეფექტურობის ზრდის მიდგომბ. სბბჭოს ფუნქციონირების ღიბ ფორმბტიდბნ გბმომდინბრე, ყველბ დბბნტერესებულ მზბრებს ბქვს შესბძლებლობბ დბესწროს სხდომბს (მბთ შორის ონლბბნ ფორმბტში) დბ მიიღოს მონბწილებობბ ქსს-ს სბქმბბნობბში. წევრებმბ იმსჯელებს ყოფილ პბტიმრებზე მიმბრთულ ბრბერთ პროგრბმბზე. სბბოლოოდ, შებბბნბმდბ, რომ სბბჭოს დიდმბ ზომბმ შეიძლებბ ნეგბტიური ზეგბვლენბ იქონიოს მის ფუნციონბნბლურ შესბძლებლობებზე დბ რისკის ქვემ ჩბბყენოს მისი ეფექტურობბ. სბბჭოს სბმოქბლბქო სექტორი

ცალკე განიხილავს ქსს-ს ამჟამინდელი ზომის ფარგლებში ეფექტური რეპრეზენტატიულობის და ბილატერალური კავშირის გაძლიერების გზებზე.

ილია ლუდუშაური - მაღლობა მოახსენა მომხსენებელს და სიტყვა გადასცა ბ-ნ ლაშა აბესაძეს და ქ-ნ ხათუნა თოდაძეს.

ლაშა აბესაძე - წარადგინა ოპოიდიური ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის მიღწევები და გამოწვევები.

ძირითადი ფოკუსი:

- ნარკომომხმარებლებისთვის ორთ პროგრამების სასიცოცხლო მნიშვნელობა;
- სახელმწიფო პროგრამის დისკრედიტაცია. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობის მიუხედავად, პოლიციის რეიდები არ უნდა იმართებოდეს ორთ სერვისის პუნქტებთან. ადგილობრივი მთავრობის სენსიტიზაციის საჭიროება, რუსთავის მერიის მაგალითზე, როდესაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ უარი განაცხადა ორთ პროგრამის ამოქმედებაზე;
- ორთ პროგრამების რეგულაციები მოძველებულია და მოითხოვს გადახედვას. სათემო ორგანიზაციებს ჰქონდათ ინტენსიური და ეფექტური კომუნიკაცია ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან ცვლილებების პაკეტის შემუშავების პროცესში.
- მეთადონის გატანების პრაქტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა დროებით ზომად პანდემიის დროს უნდა შენარჩუნდეს და გახდეს ჩვეულებრივი პრაქტიკა სტაბილური პაციენტებისთვის;
- ორთ სერვისების არარსებობა ქალთა პენიტენციურ დაწესებულებებში. ხანგრძლივი ვადის მქონე პატიმრებისთვის მოკლევადიანი ჩანაცვლებითი თერაპიის გამოწვევები;
- დეტოქსის პროგრამაზე გადაყვანა, როგორც გადამეტებული ზომა შიდა რეგულაციების დარღვევისთვის;
- იმედი, რომ ორთ პროგრამის რეგულაციების გადახედვა არ დამუხრუჭდება და ცვლილებების სარგებელი გადაწონის შესაბამისი უწყებების მიერ დანახულ პოტენციურ რისკს.

თამარ გაბუნია – ხაზი გაუსვა ჯანმრთელობის ასპექტების მნიშვნელობას, და ასევე აღნიშნა რისკის მიტიგაციისთვის სრული მზადყოფნის და ინტერ-სექტორული გადაწყვეტილების მიღებისას რისკის პრევენციის მექანიზმის არსებობის მნიშვნელობას.

ხათუნა თოდაძე - წარადგინა ინფორმაცია ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის მარეგულირებელ დოკუმენტების განახლების პროცესის თაობაზე.

ძირითადი აქცენტი:

- ორთ პროგრამის მიმოხილვა, დანერგვიდან მისი სახელმწიფო დაფინანსებაზე სრულ გადასვლამდე. 2017 წლის 1 ივლისს ბენეფიციართა რაოდენობა (გლობალური ფონდი + სახელმწიფო პროგრამა) შეადგენდა 433. პაციენტის მხრიდან თანადაფინანსების ვალდებულების გაუქმებამ გამოიწვია ბენეფიციართა რიცხვის მკვეთრი ზრდა და დღეს სახელმწიფო პროგრამაში ჩართულია 12, 500-მდე ბენეფიციარი;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ექიმებისა და იურისტების მიერ, გლობალური ფონდის მხარდაჭერით, სათემო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა ცვლილებების პაკეტი, რომელიც 2022 წლის 28 თებერვალს წარედგინა ჯანმრთელობის სამინისტროს;
- მკურნალობის პროტოკოლები განახლდა და წარედგინა ჯანმრთელობის სამინისტროს;
- სახლში გატანების რეგულაციების მიღების მნიშვნელობა. საპირისპიროდ პანდემიის პრევენციის მიზნით დაშვებული 5 დღის ულუფის გაცემის პრაქტიკისა, თავისი გარკვეული უარყოფითი გამოცდილებით, შემოთავაზებული ცვლილებები ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომას სტაბილურ და სანდო პაციენტებისთვის. პროგრამაში ჩართვის და გარიცხვის ყველა კრიტერიუმი შემუშავდა ამგვარი პროგრამების საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით და შემოთავაზებული პაკეტი სკრუპულოზურად ითვალისწინებს ყველა რისკს და სარგებელს;
- ქსს-ს თავმჯდომარის კითხვაზე საპასუხოდ აღინიშნა: ბენეფიციარების დაახლოებით 50-60% შეესაბამება კრიტერიუმებს, თუმცა სახლში გატანების რეგულაციების ამოქმედების შემთხვევაში, მოტივაციის ზრდასთან პარალელურად საგრძნობლად გაიზრდება ორთ პროგრამაში ჩართვის მსურველების რიცხვი.
- შემოთავაზებული პაკეტი ასევე ითვალისწინებს დეტოქსის პროგრამის გახანგრძლივებას 1 თვემდე, შესაძლო მომდევნო 3-თვიანი გაგრძელებით.

წარიმართა დისკუსია. აღინიშნა, რომ პროცესი მიმდინარეობს და გაგრძელდება მაქსიმალურად ეფექტურ ფორმატში. აღინიშნა პენიტენციური სისტემის მზადყოფნა ორთ პროგრამებთან მიმართებაში. ახალი განაცხადი ითვალისწინებს გარკვეულ ინფრასტრუქტურულ ინტერვენციებს.

ილია ლუდუშაური – შეაჯამა დისკუსია. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს საქმიანობა გაგრძელდება ინტენსიურ ფორმატში, მაღლობა მოახსენა დამსწრე საზოგადოებას აქტიური მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ილია ლუდუშაური

ნათია ხონელიძე

ქსს-ს თავმჯდომარე

ქსს-ს ადმინისტრაციული ასისტენტი